

## თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 თებერვლის განჩინება IDFI-ის საქმეზე

IDFI-ი საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების  
საკითხთა სამინისტროს წინააღმდეგ

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 18  
ნოემბრის №3/3935-11 გადაწყვეტილება<sup>1</sup>

### საქმე №3ბ/2198-11

**ავტორი:** *სერგი ჯორბენაძე* – ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების  
ინსტიტუტის პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ კოორდინატორი.

IDFI-იმ საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების  
საკითხთა სამინისტროს 2011 წლის 2 მაისს მოსთხოვა საჯარო ინფორმაციის გაცემა ამავე  
წლის პირველ კვარტალში გაწეულ კონკრეტულ ხარჯებზე.<sup>2</sup> საჯარო დაწესებულებამ არ  
გასცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია. IDFI-იმ სარჩელი შეიტანა თბილისის  
საქალაქო სასამართლოში, რომლითაც მოპასუხე მხარეზე საჯარო ინფორმაციის გაცემის  
სახით ქმედების განხორციელების დავალდებულება და მიყენებული არაქონებრივი  
ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

2011 წლის 12 სექტემბერს IDFI-იმ აღნიშნულ სამინისტროს უკვე 2011 წლის მეორე  
კვარტალში გაწეულ ხარჯებზე მოსთხოვა ინფორმაცია,<sup>3</sup> რომელზეც საჯარო  
დაწესებულებამ ასევე არ გასცა შესაბამისი დოკუმენტი. ეს მოთხოვნა აბსოლუტურად  
განსხვავებული ხასიათის იყო, ვიდრე 2011 წლის 2 მაისს გაგზავნილი განცხადება.  
მათში უპირველეს განმასხვავებელ ნიშანს ის წარმოადგენდა, რომ პირველი მათგანი  
პირველ კვარტალს (იანვარი-მარტი) ეხებოდა, ხოლო მეორე მათგანი მეორე კვარტალს  
(აპრილი-ივნისი).

სამინისტრომ 2011 წლის 8 ნოემბრის №2/03-10717 წერილით IDFI-ის მიაწოდა 2011 წლის  
მეორე კვარტალში განხორციელებული მოქმედებების შესახებ საჯარო ინფორმაცია  
ნაწილობრივი სახით. აღნიშნული დასტურდება თავად სამინისტროს მიერ გაცემულ  
დოკუმენტში, სადაც იგი აღნიშნავს, რომ წერილი 2011 წლის 12 სექტემბერს (საჯარო  
ინფორმაცია, რომელიც დავის საგანს არ წარმოადგენს) მოთხოვნილ ინფორმაციას  
ეხება.<sup>4</sup>

<sup>1</sup> [http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/georgian\\_judicial\\_practice/topic/57](http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/georgian_judicial_practice/topic/57)

<sup>2</sup> იხ. <http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/news/topic/109>

<sup>3</sup> [http://www.opendata.ge/userfiles/files/idfi-s%20werilebi%20-%202012\\_09.pdf](http://www.opendata.ge/userfiles/files/idfi-s%20werilebi%20-%202012_09.pdf)

<sup>4</sup> [http://www.opendata.ge/userfiles/files/sasjelagsruleba\\_avtoparki1.pdf](http://www.opendata.ge/userfiles/files/sasjelagsruleba_avtoparki1.pdf)

იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოში დავა 2011 წლის 2 მაისს მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციაზე მიმდინარეობდა, მოწოდებული წერილი აბსოლუტურად უმნიშვნელო საჯარო ინფორმაციის გაცემის კუთხით და იგი საერთოდ არ პასუხობდა 2011 წლის 2 მაისს მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას. სასამართლომ მიუხედავად აღნიშნულისა, მოწოდებული დოკუმენტი საქმისთვის მნიშვნელობის მქონედ მიიღო და როგორც შემდგომ აღმოჩნდა, სწორედ მასზე დაყრდნობით მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

IDFI-ის მიერ უკვე გამოქვეყნებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის №3/3935-11 გადაწყვეტილების სამართლებრივი ანალიზი.<sup>5</sup> შესაბამისად, ამჯერად მხოლოდ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება იქნება განხილვის საგანი.

### საქმის მნიშვნელობა და მისი გასაჩივრების საფუძვლები:<sup>6</sup>

საქმე სააპელაციო სასამართლომდე მივიდა რამდენიმე მიზეზის გამო:

ა) სასამართლომ აბსოლუტურად უსაფუძვლოდ მიიჩნია სამინისტროს მიერ მოწოდებული წერილი სამართლებრივი მნიშვნელობის მქონედ და უსაფუძვლოს მიიღო მტკიცებულება;

ბ) სასამართლომ სამართლებრივი ნორმების უგუვებელყოფა მოახდინა, როდესაც ჩათვალა, რომ ვებ-გვერდზე განთავსებული მონაცემები გაცემული საჯარო ინფორმაციის სახეს წარმოადგენდა;<sup>7</sup>

გ) სასამართლომ არასწორად ჩათვალა IDFI-ის მტკიცება, რომ სამინისტროს მხრიდან დასაბუთებულად ეთქვა IDFI-ის უარი სასურველი ინფორმაციის მიღებაზე.<sup>8</sup> სამინისტროს საერთოდ არ გაუცია პასუხი მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციაზე.

<sup>5</sup><http://www.opendata.ge/userfiles/files/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9D%20-%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94.pdf>

<sup>6</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ შეტანილი სააპელაციო საჩივარი, რომელიც სწორედ წინამდებარე საქმეს ეხება <http://www.opendata.ge/userfiles/files/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D.pdf>

<sup>7</sup> იხ. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ვებ-გვერდის მონიტორინგი, რომლითაც დასტურდება, რომ აღნიშნული საჯარო დაწესებულება, IDFI-ის მიერ მოთხოვნილ საკითხზე საჯარო ინფორმაციას არ ფლობს: <http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Ministry%20of%20Corrections%20and%20Legal%20Assistance%20monitoring%202011.pdf>

აღნიშნული საქმე პრეცედენტული მნიშვნელობის იყო იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოში აუცილებლად უნდა დაფიქსირებულიყო საჯარო დაწესებულების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგი (სარჩელის დაკმაყოფილებით).

სასამართლო მოსაზრება:

სანამ უშუალოდ სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების განხილვაზე გადავიდოდეთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო უშვებს უდიდეს შეცდომას, როდესაც სამართლებრივად გაუმართავად განმარტავს სიტყვას - **კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი ნაწილი**. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლს გააჩნია ორი პუნქტი. სამართლებრივ ტერმინადაც სწორედ პუნქტი უნდა იყოს გამოყენებული. ამ დროს, სასამართლო ამ სიტყვას ასახელებს, როგორც 41-ე მუხლის პირველი ნაწილი. ეს არის შეცდომა, რომელსაც წესით არ უნდა უშვებდეს მოსამართლე.<sup>9</sup>

სასამართლო მიიჩნევს, რომ სამინისტრო არაა ვალდებული გასცეს საჯარო ინფორმაცია. ეს მოსაზრება შეიძლება განვმარტოთ, როგორც სასამართლოს მიერ საჯარო დაწესებულების ვალდებულების დარღვევაზე ხელის დაფარება. პალატა იქვე განმარტავს, რომ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გაცემას ექვემდებარება, თუ იგი დაცულია შესაბამის საჯარო დაწესებულებაში. იბადება კითხვა, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ განხორციელებული უფლებამოსილების ფარგლებში ბიუჯეტის ხარჯვის, ხელფასებისა თუ სხვა საკითხებზე ინფორმაცია რომელ საჯარო დაწესებულებაში უნდა იყოს დაცული, თუ არა ამ უკანასკნელში? სასამართლოს მოსაზრებიდან პირდაპირ ჩანს ის ფაქტი, რომ იგი შეუსაბამობაში მოდის საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

სასამართლო განმარტავს, რომ სამინისტრომ ის ინფორმაცია გასცა, რომელიც მოთხოვნისას რეალურად არსებობდა.<sup>10</sup> სინამდვილეში სამინისტრომ გასცა ინფორმაცია, რომელიც არა თუ მოიცავდა, არამედ საერთოდ არ შეეხებოდა 2011 წლის პირველი კვარტლის შესახებ საკითხებს.<sup>11</sup>

---

<sup>8</sup> ზიანის ანაზღაურების საკითხიც სწორედ ამ ფაქტზე ააგო სასამართლომ, როდესაც მიუთითა, რომ არ არსებობს მიზეზი, რომლითაც არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მაგალითზე შეიძლება ემსჯელა.

<sup>9</sup> მაგალითად, შეგიძლიათ იხილოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის N3/3935-11 გადაწყვეტილება, სადაც მოსამართლე - დიმიტრი გვრიტიშვილი ასევე ელემენტალურ და იურისტისთვის შეუფერებელ შეცდომას უშვებს, როდესაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მაგივრად საუბრობს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროზე. ეს უპირველეს ყოვლისა მის მიერ საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებაზე მიუთითებს.

<sup>10</sup> იხ. სასამართლო განჩინების 4.7 პუნქტის მეორე აბზაცი.

<sup>11</sup> სწორედ ეს საკითხები წარმოადგენდა დავის საგანს და არა 2011 წლის მეორე კვარტლის შესახებ ინფორმაცია, რომელიც სამინისტრომ გასცა ინსტიტუტზე.

პალატის მოსაზრების საფუძველზე შესაძლებელია მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითები:

ა) პირს სურს მიიღოს ინფორმაცია, რომელიც ეხება 2009 წელს გამართულ საახალწლო კონცერტს. საჯარო დაწესებულება არ გასცემს საჯარო ინფორმაციას და პირს აღნიშნულ საკითხზე შეაქვს სასამართლოში სარჩელი. შემდეგ პირი ითხოვს 2011 წელს გამართული საახალწლო კონცერტის ხარჯებს, რომელზეც საჯარო დაწესებულება გასცემს ინფორმაციას. სასამართლო კი მიიჩნევს, რომ 2011 წლის ინფორმაცია 2009 წლის ინფორმაციას მოიცავს და შეუძლებელია მისი გამოცალკევება;

ბ) პირს სურს მიიღოს ინფორმაცია ცალ-ცალკე მინისტრზე და მის მოადგილეზე გაცემული პრემიების შესახებ. სამინისტრო უარს ამბობს ამგვარი ინფორმაციის გაცემაზე და მიზეზად უთითებს იმ ფაქტს, რომ ასეთი სახის დოკუმენტაცია გამოცალკევებულად არ არსებობს ფიზიკურად. მაშინ იბადება კითხვა, რა დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე იღებენ პრემიებს საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლები? ხდება ეს კანონიერ ძალაში შესული დოკუმენტით, თუ კონკრეტული თანამდებობის პირის სურვილით? ამ კითხვებზე ერთადერთი სწორი პასუხი საჯარო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის სრულყოფილად გაცემაა.

სწორედ სასამართლოს ძალით უნდა დაევალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, მოახდინოს მის მიერ საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში არსებული დოკუმენტების ერთიან სისტემაში თავმოყრა და შემდეგ საჯარო ინფორმაციის სახით მათი გაცემა.

ცალკე განხილვის საკითხია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომში - სზაკ) 37-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც საჯარო ინფორმაციის არჩევის ფორმა საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს გააჩნია. ეს ნიშნავს შემდეგს, რომ თუ პირმა საჯარო ინფორმაციის მიღება მოითხოვა მატერიალური სახით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია (და არა უფლებამოსილი) ასეთი სახის ინფორმაცია მატერიალური სახით გასცეს. სასამართლო კი მიუთითებს (სხვათაშორის ძალზე მცირე დეფინიციის სახით), რომ ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის საჯაროობა უკვე უზრუნველყოფილია სხვა საშუალებებით, ანუ ინტერნეტით. ამით სასამართლო კიდევ ერთხელ მოდის საქართველოს კანონმდებლობით გაწერილ რეგულირების სფეროსთან აბსოლუტურ შეუსაბამობაში, ვინაიდან არღვევს IDFI-ის უფლებას, აირჩიოს თავად საჯარო ინფორმაციის ფორმა/

### **ზიანის ანაზღაურება**

ინსტიტუტი ითხოვდა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას. სზაკ-ის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულია, რომ ზიანის ანაზღაურების საკითხზე მტკიცების ტვირთი მოპასუხე საჯარო დაწესებულებას ეკისრება. სხვა სიტყვებით, რომ ითქვას, საჯარო დაწესებულება იყო ვალდებული დაემტკიცებინა, რომ ინსტიტუტზე ინფორმაციის

არგაცემით ამ უკანასკნელს ზიანი არ მიადგა. სასამართლო კი აღნიშნავს, რომ ვერც პირველ ინსტანციაზე და ვერც სააპელაციო სასამართლოში IDFI-იმ ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მას მიადგა ზიანი. ეს არის საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის კიდევ ერთი თვალნათელი მაგალითი.

აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ სასამართლო სამართლებრივად გაუმართავ და არადადამაჯერებელ განმარტებას ახდენს როდესაც აღნიშნავს, რომ ინსტიტუტს გარდა სზაკ-ის 47-ე მუხლისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში - სსკ) მე-18 და 413-ე მუხლები უნდა გამოეყენებინა. წესით, მოსამართლე გარკვეული უნდა იყოს იმ საკითხში, რომ ადმინისტრაციულ დავებზე საქმეების განხილვისას უპირატესად გამოიყენება სზაკ-ში გაწერილი ნორმები და მხოლოდ შემდგომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები. სასამართლო თავის განმარტებაში საერთოდ არ უთითებს სზაკ-ის 207-209 მუხლებზე და პირდაპირ სამოქალაქო კოდექსის მე-18 და 413-ე მუხლებს ეხება. ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ სააპელაციო პალატა აბსოლუტურად ზედაპირულ დასაბუთებას აკეთებს ინფორმაციის თავისუფლების საკითხზე.